

დაზოგვის მსოფლიო დღე 2025 & ლარის 30 წლის იუბილე

ღია გაკვეთილი VIII-XII კლასებისთვის

ნაწილი 1: პრეზენტაცია (20 წთ)

[იხ. PPT: WSD 2025_პრეზენტაცია_VIII-XII კლასი]

სლაიდი 1:

გამარჯობა, მე --- ვარ, --- ბანკის თანამშრომელი და დღეს ფინედუს დესპანის როლში გესტუმრეთ, რათა ფულზე გესაუბროთ.

- ასწიეთ ხელი, ვისაც გინდათ რომ ისწავლოთ, როგორ „ამუშაოთ“ ფული თქვენს სასარგებლოდ? როგორ გადადგათ ნაბიჯები ფინანსური დამოუკიდებლობისკენ? (მოსწავლეები სწევენ ხელს)

სლაიდი 2:

მალიან კარგი, ვეცდები 20 წუთის განმავლობაში მარტივად აგიხსნათ:

- როგორ დაზოგოთ ფული მარტივი ფორმულის მიხედვით;
- სად შეინახოთ თქვენი დანაზოგი, რათა „თავისით“ გაიზარდოს;
- როგორ მუშაობს ფინანსური სისტემა.

შემდეგ კი სამაგიდო თამაში ვითამაშოთ და ერთად გავიხსენოთ და ვისწავლოთ ფინანსური ტერმინები.

ჩვენი მისიაა, ჩვენი გაკვეთილის დასრულების შემდეგ უკვე იცოდეთ, რა გააკეთოთ იმისთვის, რომ მიუახლოვდეთ ფინანსურ დამოუკიდებლობას და გახდეთ საკუთარი თავის ფინანსისტი! იმედი მაქვს, ყველა აქტიურად ჩაერთვებით.

- მზად ხართ? (მოსწავლეები პასუხობენ). დავიწყით!

სლაიდი 3:

ალბათ ყველას გაქვთ რაღაც სურვილი, ოცნება, რომლის ასასრულებლად ფული გჭირდებათ. ამიტომ ასეთ მიზნებს **ფინანსურ მიზნებს** ვეძახით. ზოგიერთი მიზნის მიღწევას შესაძლოა უფრო ცოტა ფული და ნაკლები დრო სჭირდებოდეს, ასეთი მიზანი მოკლევადიანი მიზანი იქნება; ზოგიერთისას კი - შედარებით მეტი ფინანსები და მეტი დრო, ასეთი მიზანი საშუალოვადიანი ან გრძელვადიანი მიზანი იქნება.

მოდით ახლა, ვცადოთ და ყველამ ერთი მიზანი მაინც გავწეროთ ჩვენთვის. მოიმარჯვეთ კალმები და ფურცლები. მე კი გეტყვით ფორმულას, როგორ გაწეროთ SMART ანუ „ჭკვიანური“ ფინანსური მიზანი.

სლაიდი 4:

მიზანი უნდა იყოს:

- **კონკრეტული** - ანუ ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რა გვინდა, რომელი მოდელი და ღირს და ა.შ. მაგალითად, მე მინდა ვიყიდო იქს ბოქსი S სერია!
- **გაზომვადი** - უნდა ვიცოდეთ, რა თანხის შეგროვება დაგვჭირდება იმისთვის, რომ მიზანი მიღწეულად ჩავთვალოთ. მაგალითად, მე უნდა შევაგროვო 1000 ლარი ამისთვის!
- **მიღწევადი** - მიზანი უნდა იყოს განხორციელებადი, რეალური და არ უნდა აღემატებოდეს ჩვენს ძალებს, მაგალითად, მე შემძლია ამისთვის ყოველ კვირაში 20 ლარის გადადება!
- **რელევანტური** - მიზანი უნდა იყოს ჩვენი სურვილების შესაბამისი და ჩვენთვის მნიშვნელოვანი, რადგან გაწეული ძალისხმევა მისთვის ღირდეს
- **დროში გაწერილი** - უნდა ვიცოდეთ ვადა, რა ვადაში შევძლებთ ამ მიზნის მიღწევას. მაგალითად, მე მინდა ეს იქს ბოქსი ვიყიდო 1 წლის შემდეგ!

მოდით ახლა 1 წუთს მოგვცემთ და დაწერეთ თქვენთვის ფურცელზე 1 SMART მიზანი.

[სანამ მოსწავლეები წერენ შეგვიძლია ვუთხრათ: კარგად დაფიქრდით, რა გინდათ, რა გჭირდებათ, შეიძლება ეს იყო მცირე, ან დიდი მიზანი].

- *დაწერეთ? ხომ არ გაქვთ სურვილი რომელიმე რომ გაგვიზიაროთ თქვენი მიზანი? (რამდენიმე მოსწავლე სურვილისამებრ აზიარებს მიზანს)*

კარგი. მიზანი გვაძლევს მიმართულებას და მოტივაციას, ენერგიას, დავზოგოთ, ანუ დავაგროვოთ, სამომავლოდ შევინახოთ ჩვენი ფულის, **შემოსავლის** ნაწილი.

- *რა შეიძლება იყოს ბავშვებისა და მოზარდების შემოსავალი? (მოსწავლეები პასუხობენ).*

დიახ, შემოსავალი შეიძლება იყოს ნებისმიერი ის ფული, რომელსაც იღებთ და უკან არ უნდა დააბრუნოთ, მაგალითად: ყოველკვირეული ჯიბის ფული, დაბადების დღეზე ნაჩუქარი ფული, ჯილდოდ მიღებული ფული, სტიპენდია, შესაძლოა თქვენ მიერ რაიმე საქმიანობით გამომუშავებული ფული და ა.შ.

სლაიდი 5:

წარმოიდგინეთ, რომ ყოველთვიურად გაქვთ 100 ლარი. ანუ ეს არის თქვენი შემოსავალი. როგორ გადაანაწილებდით?

- *გთხოვთ ჯერ ასწიეთ ხელი მათ, ვინც სრულად ამ თვეშივე დახარჯავდით ფულს;*
- *ახლა იმათ, ვინც ნაწილს შეინახავდით, ნაწილს კი დახარჯავდით,*
- *ახლა კი იმათ, ვინც მთლიანად შეინახავდით. (მოსწავლეები თითოეულ ჯერზე აფიქსირებენ თავიანთ პოზიციას)*

როგორც ხედავთ, შემოსავლის განაწილების სხვადასხვა სტრატეგია არსებობს, მაგრამ წარმატებისთვის საჭიროა - ბალანსი.

სლაიდი 6:

ახლა გასწავლით მარტივ ფორმულას, როგორ შეიძლება გაანაწილოთ თქვენი შემოსავალი: ეს არის **ბიუჯეტირების 50-30-20-ის წესი!**

დახაზეთ ფურცელზე წრე. გაყავით შუაში, ორ ტოლ ნახევრად. ერთი ნახევარი კვლავ გაყავით ისე, რომ ერთი ნაწილი ცოტა მეტი მიიღოთ, ვიდრე მეორე. მოკლედ, ახლა ჩვენ გვაქვს წრე, ანუ ჩვენი შემოსავალი, რომელიც გაყოფილია სამ ნაწილად:

50% - საჭიროებები - ანუ ის, რაც აუცილებელია ცხოვრების ნორმალური პირობების შესანარჩუნებლად.

- მაგალითად, რა შეიძლება იყოს ასეთი? (მოსწავლეები პასუხობენ, თუ არა თქვენ იტყვით: კვება, ტრანსპორტი, საკანცელარიო ნივთები და ა.შ.)

30% - სურვილები - ანუ ის, რაც აუცილებელი არ არის, თუმცა გვინდა და სიხარულს გვანიჭებს,

- მაგალითად, რა შეიძლება იყოს ასეთი? (მოსწავლეები პასუხობენ, თუ არა თქვენ იტყვით: გართობა, სასუსნავეები, სათამაშოები და ა.შ.)

20% - დანაზოგი - ეს არის თქვენი მიზნისთვის გადადებული ფული

მაგალითად, თვეში 100 ლარის შემოსავალი, შეიძლება ასე გადანაწილდეს:

- 50 ლარი - საჭიროებები
- 30 ლარი - სურვილები
- 20 ლარი - დანაზოგი, რაც წელიწადში 240 ლარია.

- რას იყიდდით 240 ლარად? (მოსწავლეები პასუხობენ)

სლაიდი 7:

ძალიან კარგი! დანაზოგის გასაკეთებლად კიდევ რამდენიმე რჩევას მოგცემთ:

- **პირველ რიგში გადაუხადეთ საკუთარ თავს!** - ანუ როდესაც შემოსავალს მიიღებთ, სანამ ხარჯვას დაიწყებთ, მანამდე გადაინახეთ მინიმუმ 10% სამომავლოდ, საკუთარი თავისთვის! პატარ-პატარა ფულის გადადებითაც კი შესაძლებელია ბოლოს მნიშვნელოვანი დანაზოგი შექმნათ.
- **30 დღის წესი** - როდესაც მნიშვნელოვანი ანუ შედარებით ძვირადღირებული რაღაცის შეძენა გსურთ, დაიცადეთ 30 დღე. თუ 30 დღის შემდეგაც ისევ ისე გსურთ და დარწმუნდებით რომ თქვენთვის მნიშვნელოვანია, მხოლოდ მაშინ იყიდეთ. ამით თავიდან აიცილებთ არასაჭირო ხარჯს.
- **გაუჩინარებული მონეტები** - დღის ბოლოს, ყველა ხურდა ფული, რაც გექნებათ, ჩაყარეთ ყულაბაში - მონეტები თქვენი ჯიბიდან გაქრება და მომავალში გაჩნდება როგორც სასურველი ნივთი.
- **52 კვირის გამოწვევა** - დაიწყეთ პირველ კვირას 1 ლარის გადადებით, მეორე კვირას - 2, მესამე - 3 ლარი და ა.შ. გაზარდეთ თანხა კვირების მიხედვით. ანუ ბოლო კვირაში 52 ლარის გადადება მოგიწევთ.
- თქვენი აზრით, დაახლოებით რამდენი ლარი დაგიგროვდებათ ასე 1 წელიწადში? (მოსწავლეები პასუხობენ)

ამ გზით, 1 წელიწადში 1378 ლარი დაგიგროვდებათ!

სლაიდი 8:

დანაზოგი არ არის უბრალოდ ცალკე გადადებული თანხა, ეს არის თქვენი ოცნება, გეგმა და ამავე დროს **ფინანსური უსაფრთხოება!** დანაზოგი გვეხმარება იმაშიც, რომ ფინანსურად მომზადებული შევხვდეთ გაუთვალისწინებელ მოვლენებს, რომლებიც ზედმეტ ფინანსურ ხარჯებს იწვევენ. მაგალითად, გაფუჭებული ტექნიკა, დაკარგული სასკოლო ნივთები და ა.შ. ასევე, დანაზოგი შეიძლება გახდეს შესაძლებლობაც, გამოვიყენოთ შანსი, როცა რაღაც ჩვენთვის სასურველი მოულოდნელად გამოჩნდება გაყიდვაში.

სლაიდი 9:

ფულის დაზოგვა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ დაზოგვის მსოფლიო დღეც კი არსებობს - 31 ოქტომბერი. ის პირველად 101 წლის წინ, იტალიის ქალაქ მილანში დაარსდა და დღესდღეობით მსოფლიოს მრავალი ქვეყანა აღნიშნავს. საქართველოში კი უკვე მე-14 წელია, რაც აღვნიშნავთ. დაზოგვის დღის მიზანია როგორც ბავშვებში, ისე დიდებშიც ავამაღლოთ ცოდნა ფულის დაზოგვის სარგებლიანობისა და პირადი ფინანსების ჭკვიანურად მართვის შესახებ. ჩვენი ეს დღევანდელი შეხვედრაც სწორედ დაზოგვის დღისადმი მიძღვნილი კამპანიის ფარგლებში მიმდინარეობს. დაზოგვის დღეს საქართველოში თავისი სიმბოლოც ჰყავს - ჭიანჭველა „გროვია“.

- *კარგი, ახლა გვაქვს დაზოგილი ფული. სად შეიძლება შევინახოთ? სახლში - ბალიშის ქვეშ? წიგნებში? თუ სად? ბანკში? (მოსწავლეებიც პასუხობენ)*

სლაიდი 10:

- *თქვენი აზრით, რა პლიუსები ან მინუსები შეიძლება ჰქონდეს დანაზოგის სახლში შენახვას? (მოსწავლეები პასუხობენ)*
- *თქვენი აზრით, რა პლიუსები ან მინუსები შეიძლება ჰქონდეს დანაზოგის ბანკში შენახვას? (მოსწავლეები პასუხობენ)*

დანაზოგი შეიძლება სახლში, ყულაბაშიც შევინახოთ, რადგან ყველასთვის მოსახერხებელია და მარტივია მისი გაკეთება. თუმცა, თუ დანაზოგს ბანკში, **დეპოზიტზე**, ანუ ანაბარზე შევინახავთ, მასზე გარდა ჩვენ მიერ შეგროვებული ფულისა, დამატებით, **საპროცენტო სარგებელიც** დაგვერიცხება, ანუ ფული ნელნელა „მუშაობს“ ჩვენთვის. ბანკში ჩვენი დეპოზიტი უფრო მეტად დაცულია, ვიდრე სახლში, თანაც როცა ფული ვადიან დეპოზიტზე გვიდევს, ანუ კონკრეტული დროის შემდეგ უნდა გამოვიტანოთ, გაცილებით ნაკლებია მისი დახარჯვის ცდუნება, ვიდრე სახლში შენახული ფულისა.

- *კარგი, ახლა ცოტა უფრო შორს წავიდეთ, იცით, რას ნიშნავს ინვესტირება? (მოსწავლეები პასუხობენ)*

სლაიდი 11:

- **ინვესტირება** არის ფულის დაბანდება რაიმე აქტივში (ანუ ნივთში) ან საქმიანობაში, მოგების მიღების მიზნით. ინვესტირება ნიშნავს, რომ ფული უბრალოდ კი არ იხარჯება, არამედ შემოსავლის წყაროდ იქცევა. მაგალითად:
- **აქციები** - ყიდულობთ კომპანიის მცირე ნაწილს, თუ კომპანია იზრდება, იზრდება თქვენი ფულიც (აქციის ფასი, მოგება).
- **ობლიგაციები** - თქვენ ფულს ასესხებთ კომპანიას, ან სახელმწიფოს, ისინი კი სანაცვლოდ სარგებელს გიხდიან და ამ ფულსაც უკან გიბრუნებენ

- **განათლება** - საკუთარ თავში, უნარების განვითარებაში ინვესტირება, რომელსაც მომავალში მეტი შემოსავლის მოტანა შეუძლია.

თუმცა, როდესაც ინვესტირებაზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ინვესტიცია შეიძლება როგორც მომგებიანი, ისე წამგებიანიც იყოს, ამიტომ სანამ ინვესტირებას დაიწყებდეთ, უფრო მეტი გაიგეთ და ისწავლეთ ამ სფეროს შესახებ.

სლაიდი 12:

დანაზოგის ბანკში შენახვას რომ დავუბრუნდეთ, გავიხსენოთ, რომ ბანკი მხოლოდ ფულის შენახვის ადგილი არაა. ბანკები ასევე გასცემენ სესხებს ადამიანებსა და კომპანიებზე. ადამიანები სესხით აღებული თანხით ყიდულობენ სხვადასხვა სამომხმარებლო ნივთებს, უძრავ ქონებას და ა.შ. კომპანიები კი - აფართოებენ ბიზნესს. ამ გზით, ბანკები ამუშავებენ ეკონომიკას. გარდა დანაზოგების მიღებისა და სესხების გაცემისა, ბანკები სხვადასხვა პროდუქტსაც სთავაზობენ მომხმარებლებს.

სლაიდი 13:

TOP 3 პროდუქტი, რომელიც მოსწავლეებმა ბანკში მშობლების თანხმობით შეიძლება გახსნან, არის: საბანკო ბარათი, დეპოზიტი ან ყულაბა, მობაილ ბანკი. არ დაგავიწყდეთ, სანამ სანამ რომელიმე ბანკის პროდუქტით ისარგებლებდეთ, ერთმანეთს შეადარეთ სხვადასხვა ბანკის შემოთავაზება: რა საკომისიოები აქვს? რამდენი % ერიცხება ჩემს დეპოზიტს? სხვა რა პირობებს გვთავაზობს? რამდენად ახლოსაა ჩემთვის ბანკის ფილიალები და ბანკომატები?

- კარგი, ახლა კიდევ ერთი კითხვა, იცით ვინ აკონტროლებს ბანკებს? (მოსწავლეები პასუხობენ)

სწორი პასუხია საქართველოს ეროვნული ბანკი. ეროვნული ბანკი ქვეყნის მთავარი, ცენტრალური ბანკია. წელან ბანკის რა ფუნქციებიც ჩამოვთვალეთ, ამის გაკეთება ეროვნულ ბანკში არ შეგვიძლია - ანუ ვერ შევინახავთ ჩვენს დანაზოგს, ვერ გავხსნით ბარათს ან მობაილ ბანკს, ეროვნული ბანკი არ გასცემს სესხებს ადამიანებსა და კომპანიებზე.

- მაშინ რას აკეთებს ეროვნული ბანკი? (მოსწავლეები პასუხობენ)

სლაიდი 14:

ერთი რაც, ვთქვით, ეროვნული ბანკი აკონტროლებს, ზედამხედველობს სხვა ბანკებსა და ასევე სხვა საფინანსო ორგანიზაციებსაც. რათა მათ წესების დაცვით, უსაფრთხოდ და გამართულად იმუშაონ და შეუფერხებლად მოგვაწოდონ მომსახურება, დაცული იყოს ჩვენი დეპოზიტები. სპორტული ტერმინებით რომ ვთქვათ, ეროვნული ბანკი არის საფინანსო სისტემის „მსაჯი“.

ეროვნული ბანკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ქვეყანაში ფასების სტაბილურობის შენარჩუნებაა. ეს ნიშნავს, რომ ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს, ქვეყანაში ფასების საერთო დონის ზრდა, ანუ ინფლაცია, ზომიერი იყოს. ამისთვის, ის მონეტარულ პოლიტიკას წარმართავს. ამ გზით ინფლაცია წინასწარ განსაზღვრულ მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს ნარჩუნდება. ეს ფასები ყველაზე ხშირად მოხმარებადი პროდუქტებისა და მომსახურების ფასებს მოიცავს. მათ შორის, იმ პროდუქტების ფასებსაც,

რომლებსაც ბაზარში ან სუპერმარკეტში ყიდულობთ. კიდევ უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ფასების სტაბილურობა ნიშნავს, რომ ფასები ამ პროდუქტებზე - არ იცვლებოდეს ძალიან ხშირად და ძალიან: მაგალითად, დღეს ღირდეს 2 ლარი, ხვალ 20, ზეგ 3 და ასე შემდეგ.

ეროვნული ბანკი ასევე აქტიურად ზრუნავს მოსახლეობის ფინანსური განათლების ამაღლებაზე. ამისთვის მან შექმნა ფინანსური განათლების პლატფორმა - ფინედუ, ფინედუს ვებგვერდზე საინტერესო და სახალისო სახით გადმოცემული მასალა შეგხვდებათ, დაზოგვის, ბიუჯეტირების, სესხების, დაზღვევის, მომხმარებელთა უფლებებისა თუ სხვა საკითხების შესახებ. ფინედუ შეგიძლიათ თითქმის ყველა სოციალურ ქსელში იპოვოთ, მათ შორის უკვე ტიკტოკზეც. გაიხსენეთ, რა გითხარით დასაწყისში - დღეს სწორედ ფინედუს წარმოვადგენ.

ეროვნული ბანკი ის ერთადერთი ორგანიზაციაა საქართველოში, რომელსაც აქვს ეროვნული ვალუტის - ლარის - ქაღალდის ფულის, ანუ ბანკნოტების და მონეტების გამოშვების უფლება.

სლაიდი 15:

ახლა უკვე იცით ფინანსების მართვის ძირითადი საიდუმლოები! იცით, როგორ დაისახოთ ფინანსური მიზანი, როგორ დაზოგოთ ფული, სად შეინახოთ დანაზოგი, როგორ მუშაობს საფინანსო სისტემა!

ახლა კი, ასწიეთ ხელი:

- ვინ აპირებს ეს ცოდნა გაუზიაროს მშობლებსაც? (მოსწავლეები სწევენ ხელს)
- ვის უნდა გაწეროს SMART მიზანი? (მოსწავლეები სწევენ ხელს)
- ვინ აპირებს გამოიყენოს 50-30-20-ის წესი? (მოსწავლეები სწევენ ხელს)
- ვინ არის მზად 52 კვირის „ჩელენჯისთვის“? (მოსწავლეები სწევენ ხელს)

ძალიან კარგი, ფინანსური დამოუკიდებლობა ნელნელა, პატარა ნაბიჯებით იწყება - მიზნების დასახვა, დაზოგვა, საბანკო პროდუქტების გამოყენება და მომავალში ინვესტირება. ნელნელა ფინანსური ტერმინებიც გავიცნოთ - უფრო სახალისოდ, სამაგიდო თამაშის გამოყენებით. თუმცა, სანამ ამ თამაშს ვითამაშებდეთ, ერთი სწრაფი აქტივობა გავაკეთოთ.

- იცით, პირველად როდის გამოვიდა ლარი? (მოსწავლეები პასუხობენ)

ეროვნული ვალუტა ლარი - პირველად 1995 წელს გამოვიდა მიმოქცევაში და 2 ოქტომბრიდან გადახდის ერთადერთ საშუალებად გამოცხადდა. წელს ლარს 30 წლის იუბილე აქვს.

სლაიდი 16:

ნაწილი 2: აქტივობა - ლარის ისტორიის ბარათები - ინსტრუქცია (10 წთ)

[იხ. PDF: ლარის ისტორიის ბარათები.

ფიზიკურად წაიღეთ ამობეჭდილი მზა ბარათები - შემდეგ უტოვებთ მასწავლებელს].

ჩვენ ახლა შეგვიძლია სწრაფად გავაცოცხლოთ ლარის ისტორია, 90-იანი წლებიდან დღემდე. ამისთვის, წყვილებად ვიმუშაოთ. მე დაფასთან მოგიწევთ თითო-თითო წყვილს და მოგცემთ ბარათს. ბარათის ერთ მხარეს ეწერება ნაწყვეტი ლარის ისტორიიდან, მეორე მხარეს კი წელი - როდესაც ეს ამბავი მოხდა. გთხოვთ, არ შეხედოთ წლის მხარეს, არამედ წაიკითხეთ ისტორია და დაახლოებით გამოიცანით - როდის მოხდა ეს ამბავი - რაღაც წლის შემდეგ, თუ რაღაც წლამდე და დადებით შესაბამის ადგილას. და ასე შემდეგ, სანამ ყველა წყვილი არ გამოხვალთ და შევქმნით ლარის ისტორიის ქრონოლოგიურ ხაზს - 90-იანებიდან დღემდე.

პირველი მე წავიკითხავ ბარათს, რათა საწყისი წელი გქონდეთ. [წაიკითხეთ 2000 წლის ბარათი] და დადეთ შუაში.

თამაშის დაწყება:

გამოგყავთ პირველი წყვილი, აძლევთ რომელიმე ბარათს და სთხოვთ, ხმამაღლა წაიკითხოთ ბარათზე მოცემული ისტორია. შემდეგ უნდა გადაწყვიტონ, ეს ამბავი პირველ ბარათზე, ანუ 2000 წლამდე მოხდა, თუ 2000 წლის შემდეგ და დადგენენ შესაბამისად ან ამ ბარათამდე, ან ბარათის შემდეგ. ადგილის დაკავების შემდეგ, ამოატრიალონ ბარათი და წაიკითხოთ თარიღი - თუ სწორად განლაგდნენ, რჩებიან ადგილზე და უკრავთ ტაშს. თუ არასწორია - დადგებიან შესაბამის ადგილზე.

სხვა წყვილების მსვლელობა:

გამოგყავთ თითოეული წყვილი დაფასთან რიგრიგობით, საათის ისრით მიმართულებით.

თითოეული:

ა) წაკითხვა: წყვილი კითხულობს თავის ბარათზე მოცემულ ინფორმაციას ხმამაღლა

ბ) პოზიციის არჩევა: იმის მიხედვით, თუ როდის ფიქრობენ რომ მოხდა ეს მოვლენა, ირჩევენ და დგებიან ერთ-ერთ პოზიციაზე:

- უკვე განთავსებული ბარათ(ებ)ის წინ
- ბარათებს შორის
- ბარათ(ებ)ის შემდეგ

გ) შემოწმება: ატრიალებენ ბარათს და ამოწმებენ თარიღს. თუ პასუხი:

- სწორია - მონაწილეები ტაშს უკრავენ წყვილს,
- არასწორია - წყვილი უნდა გადადგეს სწორ ადგილზე

ეს პროცესი გრძელდება მანამ, სანამ ყველა წყვილი არ წაიკითხავს თავის ბარათს და არ შექმნება სრული ქრონოლოგიური ხაზი.

თამაშის დასრულება

იქმნება ლარის ისტორიის სრული ქრონოლოგიური სურათი

მონაწილეები სვამენ დამატებით კითხვებს, ფასილიტატორი კი აწვდის შესაბამის ინფორმაციას, ან უთითებს, სად შეიძლება გაეცნონ: <https://nbg.gov.ge/georgian-money>

დიდი მადლობა! თქვენ შექმენით ლარის ისტორიის სრული სურათი! ახლა კი მოდი, ფინანსური განათლების თამაშზე გადავიდეთ.

ნაწილი 3: თამაში „ფინანსური ასოციაციონა“ (50-60 წთ)

[იხ. PDF: ფინ.ასოციაციონა - გეგმა-სკრიპტი

ფიზიკურად წაიღეთ სამაგიდო თამაში „ფინანსური ასოციაციონა“ - შემდეგ უტოვებთ მასწავლებელს, პატარა ჩასანიშნი ფურცლები 20 ცალი]